ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16
2016 წლის 6 აპრილი

ქ. ცაგერი

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 თებერვლის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 თებერვლის №6 დადგენილებაში (www. matsne.gov.geნ 09/02/2016 წ.ნ სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.116.016291) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

,,4. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესში მოყვანილი მუხლებით მოსარგებლე ბენეფიციარზე (ოჯახზე) დახმარება გაიცემა ერთჯერადად საანგარიშო წლის განმავლობაში, გარდა მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა (ოპერაციის ან გამოკვლევის თანხას გამოაკლდება უკვე გაცემული თანხის ოდენობა).";

2. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" და „ზ" ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

3. მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

,,1. სხვადასხვა სახის მძიმე ოპერაციების (ონკოლოგიური, ტრავმატოლოგიური, კარდიო-ქირურგიული, ნეოროქირურგიული, უროლოგიური, მუცლის ღრუს) თანადაფინანსება, რომლებიც არ ფინანსდება დაზღვევით ან ფინანსდება დაზღვევით, მაგრამ ძვირადღირებულია (300 ლარზე მეტი) სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლე ბენეფიციართათვის, მათი მხრიდან გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 1000(ათასი) ლარისა.

2. სხვადასხვა სახის სამედიცინო გამოკვლევების თანადაფინანსება, რომლებიც არ ფინანსდება დაზღვევით ან ფინანსდება დაზღვევით, მაგრამ ძვირადღირებულია (300 ლარზე მეტი) პირის გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა.".

4. მე-9 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ" ქვეპუნქტი:

„თ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ამონაწერი.".

5. მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

6. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დაკრძალვის ხარჯის მიმღები პირის განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე (წარმოდგენილ იქნეს ბენეფიციარის გარდაცვალებიდან ერთი თვის განმავლობაში).".

7. მე-13 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ" ქვეპუნქტი:

„ვ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ამონაწერი.".

8. მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. საქონო ამბულატორიებში გასვლა მოხდეს წელიწადში ერთხელ წინასწარ შედგენილი გრაფიკით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ბაქარ ყურაშვილი**